საქართველოს მთავრობის

დადგენილება 87

2021 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის №655 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის №655 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/10/2020, 280000000.10.003.022375) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2020 წლის ნოემბრის, დეკემბრისა და 2021 წლის იანვრის თვეების კომუნალური გადასახადის სუბსიდიის დასაფინანსებლად, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „24 07 03 – ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებები“ – პროგრამული კოდით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში კომპანიისთვის გაცემული ავანსი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს 2021 წლის თებერვლის თვის კომუნალური გადასახადის სუბსიდიის დასაფინანსებლად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**